

შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)	5
კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)	6
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები	15

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი“-ს მენეჯმენტს
სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა #99
ქ. ბოლნისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი“-ის (შემდეგში „კლუბი“) და მისი 100%-იანი შვილობილი კომპანიის, შპს „საფეხბურთო სკოლა სიონი“-ის (ერთობლივად „ჯგუფი“) თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების, სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობისა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებასა და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის ISRE 2400 (გადასინჯული)-ს შესაბამისად, „გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ“. ISRE 2400 (გადასინჯული) ჩვენგან მოითხოვს მოსაზრების გამოთქმას იმის შესახებ, მიმოხილვის პროცესში მიიქცია თუ არა ყურადღება ისეთმა ფაქტმა, რომელიც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. გარდა ამისა, ISRE 2400 (გადასინჯული) ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვას.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ISRE 2400 (გადასინჯული)-ს შესაბამისად წარმოადგენს შეზღუდული რწმუნების გარიგებას. აუდიტორი ატარებს პროცედურებს, რომელიც ძირითადად შედგება ორგანიზაციაში მენეჯმენტისა და დანარჩენი პერსონალის გამოკითხვების, ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისა და მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისაგან.

მიმოხილვისას ჩატარებული პროცედურები არსებითად ნაკლებია, ვიდრე პროცედურები გათვალისწინებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ფარგლებში. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ აუდიტორულ დასკვნას წარმოდგენილ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ დაფინანსებაზე. მიმოხილვის ჩატარების პროცედურების დასრულებამდე არ მომხდარა 2025 წლის შემდეგ კლუბების დაფინანსებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება, რომელიც ჯგუფის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება წარმოშობს მნიშვნელოვან გაურკვევლობას, რომელმაც შესაძლოა ექვემდებარება ჯგუფის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რომელიც სათანადოდ და სრულად არ არის განმარტებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს აზნაში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა, ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ისეთ ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა რომ თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გავრცელების და გამოყენების შეზღუდვა

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ ჯგუფისთვის, ჯგუფის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელება ან გამოყენება სხვა მხარის მიერ, გარდა, ჯგუფის, ჯგუფის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

სოფიო აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-417263

22 ოქტომბერი 2025

თბილისი, საქართველო



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი
[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]



ლიცენზიის მფლობელი:

საფეხბურთო კლუბი "სიონი"

მიმდინარე წელი

31.08.T

ანგარიშების წელი

31.08.T-1

ანგარიშების წელი

31.12.T-1 (აუდიტირ.)

საბალანსო უწყისი	31.08.2025	31.08.2024	31.12.2024
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	97,557	300,671	21,344
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება			
სხვა დებიტორული დავალიანება			
საგადასახადო აქტივები			
მატერიალური მარაგები		23,003	
სხვა მიმდინარე აქტივები	3,180	5,431	3,590
მთლიანი მიმდინარე აქტივები	100,737	329,105	24,934
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	16,169	9,556	9,701
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები			
არამატერიალური აქტივები - სხვა			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება			
საგადასახადო აქტივები			
ინვესტიციები			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	16,169	9,556	9,701
მთლიანი აქტივები	116,906	338,661	34,635
მიმდინარე ვალდებულებები			
ბანკის ოვერდრაფტები			
ბანკის და სხვა სესხები	54,713	22,099	87,663
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	9,000	9,000	9,000
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება			
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	-	72,237	40,765
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	1,430	22,263	15,640
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი			
მოკლევადიანი ანარიცხები	7,574	4,823	3,902
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	138,811	149,812	74,297
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	211,528	280,234	231,267
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის და სხვა სესხები			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები			
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები			
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება			
სხვა საგადასახადო ვალდებულებები			
გრძელვადიანი ანარიცხები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	211,528	280,234	231,267
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	(94,622)	58,427	(196,632)
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	444,490	444,490	444,490
გაუნაწილებელი მოგება	(539,112)	(386,063)	(641,122)
სხვა რეზერვები			
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	(94,622)	58,427	(196,632)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	116,906	338,661	34,635
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება			
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	(196,632)	(78,313)	(78,313)
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	102,010	136,740	(118,319)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში			
ცვლილება გადაფასების რეზერვში			
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში			
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი შემოწმება	(94,622)	58,427	(196,632)
	TRUE	TRUE	TRUE

ლიცენზიის მატყელებული:

საფეხბურთო კლუბი "სიონი"

მიმდინარე წელი
31.08.7

ანგარიშგების წელი
31.08.7-1

ანგარიშგების წელი
31.12.7-1 (აუდიტორ.)

საბალანსო უწყისი	31.08.2025	31.08.2024	31.12.2024
მთამამეთა რეგისტრაციის დანახარჯები			
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში			
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი			
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად			
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	-	-	-
მთამამეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია			
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში			
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა			
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად			
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	-	-	-
ნეტო საბალანსო ღირებულება			
პერიოდის დასაწყისში	-	-	-
პერიოდის ბოლოს	-	-	-
შემოწმება	TRUE	TRUE	TRUE

დინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცონირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის: 22-ოქტომბერი-2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მოუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
ლეკო სილაგაძე, დირექტორი

თარიღი: 22-ოქტომბერი-2025



კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიგენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი
[31 აგვისტო / ეროვნული ლიგენზირება]



ლიგენზირების მაძიებელი:

საფეხბურთო კლუბი "სიონი"

მიმდინარე წელი

31.08.2025

ანგარიშების წელი

31.08.2024

ანგარიშების წელი

31.12.2024 (აუდიტორი)

მოგება-ზარალის უწყისი	31.08.2025	31.08.2024	31.12.2024
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები			
ამონაგები ბილეთებიდან - უფასო შეჯიბრებები			
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები			
ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები			
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი			
სულ ამონაგები ბილეთებიდან	-	-	-
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი			
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი	338,983	601,695	635,593
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი			
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე			
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	33,898		25,424
სულ სპონსორობა და რეკლამა	372,881	601,695	661,017
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები			
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი			
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები			
კომერციული - საქონლის გაყიდვა			
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატო დღეებში			
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი			
სულ კომერციული	-	-	-
უფასო საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები			
უფასო საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი			
უფასო სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	199,184		
სულ უფასო სოლიდარობის და საპრიზო თანხა	199,184	-	-
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან	10,000	7,500	7,500
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	1,406,878	1,119,015	1,682,851
შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან			
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან			
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან			
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი			
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი		17,475	17,475
სულ სხვა შემოსავალი	1,416,878	1,143,990	1,707,826
სულ შემოსავალი	1,988,943	1,745,685	2,368,843
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი			
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(429,766)	(496,012)	(716,475)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(128,653)	(133,598)	(215,209)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი			
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	(558,419)	(629,610)	(931,684)
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(682,913)	(471,733)	(767,727)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(190,697)	(125,283)	(214,671)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი			
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(873,610)	(597,016)	(982,398)
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი			
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(1,432,029)	(1,226,626)	(1,914,082)
ძირითადი საშუალებების ცვთა	(2,124)	(1,078)	(1,984)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)			
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება			
სულ ცვთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)	(2,124)	(1,078)	(1,984)
მატრის დღის ხარჯები	(172,909)	(123,095)	(221,410)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები			
კომერციული აქტივობების ხარჯები			
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	(36,361)	(52,182)	(75,318)
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები			
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები			
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(236,783)	(231,753)	(311,287)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(446,053)	(407,030)	(608,015)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	(1,880,206)	(1,634,734)	(2,524,081)



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი
[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]



ლიცენზიის მფლობელი:

საფეხბურთო კლუბი "სიონი"

მიმდინარე წელი

31.08.25

ანგარიშგების წელი

31.08.24

ანგარიშგების წელი

31.12.24 (სუდოტო)

მოგება-ზარალის უწყისი	31.08.2025	31.08.2024	31.12.2024
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვიდან			
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	-	-	-
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან			
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან			
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-	-
ფინანსური შემოსავალი	1,604	35,205	35,215
ფინანსური ხარჯი	(3,330)	(9,416)	(3,331)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	(1,726)	25,789	31,884
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)			12,296
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	(5,001)		(7,261)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	(5,001)	-	5,035
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	102,010	136,740	(118,319)
დღივდენები			
მოგება/(ზარალი) დღივდენების შემდეგ	102,010	136,740	(118,319)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცირებულია გამოსაგემად

[თარიღი]-თვის:

22-ოქტომბერი-2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მითითეთ თანამდებობა და ვინაობა):

ლევან სილაგაძე, დირექტორი

თარიღი:

22-ოქტომბერი-2025



კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ლიცენზიის მატებული:

საფეხბურთო კლუბი "სიონი"

მიმდინარე წელი

31.08.7

ՀԱՅԿԱՐԻՄՅԱՆԻՆ ՄԻՋԼՈՒ

31.08.T-1

အိန္ဒိယနိုင်ငံတော်၏ ဂုဏ်ထူးဆောင်

31.12.1 (အပွင့်ပွင့်စက်.)

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	31.08.2025	31.08.2024	31.12.2024
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	121,481	322,889	(20,501)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფინანსური ინვესტიციების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები			
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	(9,140)	(1,800)	(2,850)
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	(9,140)	(1,800)	(2,850)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - შეწირულები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე			
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - შეწირულები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე			
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები	80,000	50,000	137,663
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	(117,732)	(80,771)	(103,331)
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდილი მიღებული ფულადი სახსრები			
(გადახდილი) ფულადი სახსრები შეწირულებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	(37,732)	(30,771)	34,332
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)	1,604	1,573	1,583
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	76,213	291,891	12,564
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილიაცია			
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	21,344	8,780	8,780
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	76,213	291,891	12,564
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	97,557	300,671	21,344
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	97,557	300,671	21,344

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაქვეყნებლად

[თარიღი]-თვინ:

22-դեկտեմբեր-2025

დინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
ლევან სილაგაძე, დირექტორი

தாசில்து:

22-դեկտեմբեր-2025

S. Langer



სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: ჯგუფის შესახებ

შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი“ (შემდეგში „კლუბი“) და მისი 100%-იანი შვილობილი კომპანიის, შპს „საფეხბურთო სკოლა სიონი“ (ერთობლივად „ჯგუფი“) სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი“ დაფუძნდა 2000 წლის 25 აგვისტოს „სააქციო საზოგადოება მადნეულის“ და „სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ბოლნისის განყოფილების“ მიერ. საფეხბურთო კლუბის 100%-იანი საკონტროლო პაკეტის მფლობელია ბოლნისის მუნიციპალიტეტი. კლუბის იურიდიული მისამართია: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის #99. ფაქტიური მისამართი ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ.#115.

2024 წლის 12 მარტს კლუბმა დააფუძნა შვილობილი კომპანია შპს „საფეხბურთო სკოლა სიონი“.

ჯგუფის ძირითადი მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება, ჯანსაღი თაობის აღზრდა.

„საფეხბურთო კლუბი სიონი“ ცნობილია როგორც 1986 წლის საქართველოს თასის მფლობელი და შემდგომ 2005-2006 წლის საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის გამარჯვებული. ასევე არის საქართველოს 2003-2004 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ოქროს მეტყის მონაწილე და დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების ნახევარფინალისტი. კლუბს მონაწილეობა აქვს მიღებული უეფას ჩემპიონთა და ევროპის ლიგების საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში.

ჯგუფს პროფესიონალური გუნდის გარდა, რომელიც მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-2 ლიგაში, ჰყავს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სფფ-ს ეგიდით გამართულ შესაბამის ასაკობრივ ტურნირებში.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

• მომზადების საფუძველი

ჯგუფი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც შემოსავლები და ხარჯები აღიარდება საკასო მეთოდით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

• კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის იურიდიულ სტრუქტურაში შემავალ საწარმოს, რომელიც იღებს შემოსავალს და/ან ახორციელებს მომსახურებას და/ან ეწევა დანახარჯებს საფეხბურთო საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრულია კლუბების ლიცენზირების დებულებებით (მაგ. ბილეთების გავრცელება; სპონსორობას და რეკლამა; ტრანსლაცია; საქონლით ვაჭრობას და გამასპინძლებას; კლუბის ოპერაციები (ადმინისტრაცია, მატჩის ჩატარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, მგზავრობა, სკაუტინგი და სხვ.); სტადიონის და საწვრთნელი ინფრასტრუქტურის გამოყენება და მართვა; ქალთა ფეხბურთი; ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება; დაფინანსება, მათ შორის კაპიტალი, რომელიც იწვევს ლიცენზიის მაძიებელზე ვალდებულებების დაკისრებას, ან ლიცენზიის მაძიებლის აქტივებითა თუ შემოსავლებით პირდაპირ ან ირიბად უზრუნველყოფილი ვალდებულების წარმოქმნას).

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც სათავე კომპანიისა და შვილობილი კომპანიების აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარმოდგენილია როგორც ერთი კომპანიის. შესაბამისად, ჯგუფის შიგნით ყველა აქტივები და ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა, რომელიც ჯგუფის წევრებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული კონსოლიდირებისას სრულად ელიმინირდება.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის წინა პერიოდების შესადარის კონსოლიდირებულ ინფორმაციას (2024 წლის 31 აგვისტო და 31 დეკემბერი).

- საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა**

ჯგუფის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

- უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2024 წლის 31 აგვისტოსთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-აგვ-2025	31-აგვ-2024	31-დეკ-2024
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6949	2.6911	2.8068
ლარი / 1 ევრო	3.1438	2.9809	2.9306

- ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

- ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიული ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას.

- შემოსავალი და დარიცხვები**

ჯგუფის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოსავალი სპონსორისგან, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სუბსიდირება, შემოსავლები UEFA-სგან და სხვა შემოსავლები.

სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან და შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან - აღიარდება საკასო მეთოდით, ხოლო სხვა ყველა შემოსავალი და ამონაგები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან მიზნობრივი დაფინანსების გამოყოფა ხდება ფონდის მეშვეობით. ფეხბურთის განვითარების ფონდის ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება, მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

2024 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმის N37-ის მიხედვით განისაზღვრა 2024 წლის დაფინანსების ბიუჯეტი, შემდეგი დანიშნულებებითა და მოცულობებით:

- სულ კლუბების საბაზისო დაფინანსება დამტკიცდა 16,520,000 ლარის ოდენობით;
- კლუბების პრემიალური, საპრიზო თანხები და VAR სისტემის მომსახურების თანხები დამტკიცდა 6,980,000 ლარის ოდენობით;
- სულ კლუბების ფინანსური სტიმულირება დამტკიცდა 11,500,000 ლარის ოდენობით;
- მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშეწყობი პროგრამების და მარკეტინგული აქტივობების დაფინანსება 4,000,000 ლარის ოდენობით;
- კატეგორია მინიჭებული სკოლების ტექნიკური მხარდაჭერის დაფინანსება 1,000,000 ლარი.

2025 წლის 10 თებერვლის ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმის N43-ის მიხედვით განისაზღვრა 2025 წლის დაფინანსების ბიუჯეტი, შემდეგი დანიშნულებებითა და მოცულობებით:

- კლუბების საბაზისო დაფინანსება 16,520,000 ლარის ოდენობით;
 - კლუბების პრემიალური, საპრიზო თანხები და VAR სისტემის მომსახურების თანხები 6,980,000 ლარის ოდენობით;
 - კლუბების ფინანსური სტიმულირება 11,500,000 ლარის ოდენობით;
 - მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშეწყობი პროგრამების და მარკეტინგული აქტივობების დაფინანსება 4,170,000 ლარის ოდენობით;
- კატეგორია მინიჭებული სკოლების ტექნიკური მხარდაჭერის დაფინანსება 1,000,000 ლარის ოდენობით.

ჯგუფი დარწმუნებულია რომ გააგრძელებს საქმიანობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ჯგუფის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	31-აგვ-2025	31-აგვ-2024	31-დეკ-2024
ფულადი სახსრები ბანკში	97,557	300,671	21,344
სულ: ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	97,557	300,671	21,344

შენიშვნა 5. მატერიალური მარაგები

2025 წლის 31 აგვისტოს ჯგუფის მატერიალური მარაგები 0 ლარია, ხოლო 2024 წლის 31 აგვისტოს ჯგუფის მატერიალური მარაგები 23,003 ლარი წარმოადგენს საფეხბურთო სკოლის სპორტულ ინვენტარს. (2024 წლის 31 დეკემბერს 0 ლარი)

შენიშვნა 6. სხვა მიმდინარე აქტივები

2025 წლის 31 აგვისტოს ჯგუფის სხვა მიმდინარე აქტივები 3,180 ლარი წარმოადგენს მომწოდებლებზე წინანსწარ ანაზრაურებულ თანხებს და ავანსად გადახდილ ხელფასებს. (2024 წლის 31 აგვისტოს 5,431 ლარი, 2024 წლის 31 დეკემბერს 3,590 ლარი)

შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით			
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	21,708	3,219	24,927
წლის შემოსვლები	8,592	-	8,592
ნაშთი 31 აგვისტო 2025	30,300	3,219	33,519
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	12,734	2,492	15,226
პერიოდის ცვეთა	1,916	208	2,124
ნაშთი 31 აგვისტო 2025	14,650	2,700	17,350
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	8,974	727	9,701
ნაშთი 31 აგვისტო 2025	15,650	519	16,169
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით			
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	18,858	3,219	22,077
წლის შემოსვლები	1,800	-	1,800
ნაშთი 31 აგვისტო 2024	20,658	3,219	23,877
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	10,932	2,310	13,242
პერიოდის ცვეთა	975	103	1,078
ნაშთი 31 აგვისტო 2024	11,907	2,413	14,320
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	7,926	909	8,835
ნაშთი 31 აგვისტო 2024	8,750	806	9,556

შენიშვნა 8. ბანკის და სხვა სესხები

2025 წლის 31 აგვისტოს აგვისტოს ბანკის და სხვა სესხები 54,713 ლარი შედგება სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხისგან. (2024 წლის 31 აგვისტოს 22,099 ლარი, 2024 წლის 31 დეკემბერს: 87,663 ლარი)

შენიშვნა 9. მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება

2025 წლის 31 აგვისტოს მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება 9,000 ლარი წარმოადგენს საფეხბურთო კლუბ „თბილისის ლოკომოტივის“ მიმართ არსებულ ვალდებულებას. (2024 წლის 31 აგვისტოს და 31 დეკემბერს 9,000 ლარი)

შენიშვნა 10. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ წარმოადგენს გადაუხდელ სახელფასო დავალიანებებს, რომლებიც 2025 წლის 31 აგვისტოს 0 ლარია, 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენდა 72,237 ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბერს 40,765 ლარს.

შენიშვნა 11. საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება

ჯგუფის საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება 2025 წლის 31 აგვისტოს შეადგენს 1,430 ლარს, 2024 წლის 31 აგვისტოს შეადგენს 22,263 ლარს, 2024 წლის 31 დეკემბერს 15,640 ლარს.

შენიშვნა 12. მოკლევადიანი ანარიცხები

2025 წლის 31 აგვისტოს მოკლევადიანი ანარიცხები შეადგენს 7,574 ლარს, 2024 წლის 31 აგვისტოს 4,823 ლარი, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბერს 3,902 ლარი.

შენიშვნა 13. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

2025 წლის 31 აგვისტოსთვის სხვა მიმდინარე ვალდებულებები 138,811 ლარი ძირითადად შედგება მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებისგან, მათ შორის შპს „სპორტმშენსერვისი“-ს მიმართ ვალდებულება შეადგენს 46,990 ლარს, დაკავშირებულ მხარესთან ნაშთი შეადგენს 6,918 ლარს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ დავალიანება შეადგენს 20,800 ლარს. 2024 წლის 31 აგვისტოს 149,812 ლარი, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბერს 74,297 ლარი.

შენიშვნა 14. საწესდებო კაპიტალი

2025 წლის 31 აგვისტოს საწესდებო კაპიტალი მოიცავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ საწესდებო კაპიტალის განადგებულ საწესდებო კაპიტალს - ჯამში 444,490 ლარის ოდენობით. (2024 წლის 31 აგვისტოს და 31 დეკემბერს: 444,490 ლარი.)

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ჯგუფის მთლიანი საკუთარი კაპიტალი არის უარყოფითი და შეადგენს (94,622) ლარს, 2024 წლის 31 აგვისტოს იყო დადებითი და შეადგენდა 58,427 ლარს, 2024 წლის 31 დეკემბერს იყო უარყოფითი და შეადგენდა (196,632) ლარს. წმინდა კაპიტალის პოზიცია არ გაუმჯობესებულა 2024 წლის 31 აგვისტოს მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა 52%-ით გაუმჯობესდა 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით.

შენიშვნა 15. სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი

სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი მოიცავს შემოსავალს სპონსორობიდან (სს „RMG Copper“) 338,983 ლარის ოდენობით. (2024 წლის 31 აგვისტოსა და 31 დეკემბრის მდგომარეობით 601,695 ლარი და 635,593 ლარი (სს „RMG Copper“)).

შენიშვნა 16. სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი

სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მოიცავს შპს „ლიდერ-ბეთ სლოტისგან“ მიღებულ თანხებს რეკლამის სანაცვლოდ.

შენიშვნა 17. უფასო სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

2025 წლის 31 აგვისტოსთვის უფასო სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი 199,184 ლარია, რაც მოიცავს უფასო მიღებულ სოლიდარობის თანხებს (UEFA circular letter 65 and 66). 2024 წლის 31 აგვისტოს და 31 დეკემბერს ნული ლარი.

შენიშვნა 18. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ჩარიცხულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ საფეხბურთო სკოლების სუბსიდირების თანხებს.

შენიშვნა 19. სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

2025 წლის 31 აგვისტოს სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი ნული ლარია, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბერს და 2024 წლის 31 აგვისტოს სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი - 17,475 ლარის ოდენობით, ძირითადად შედგება ფეხბურთელ ნიკოლოზ ჩიქოვანის წვრთნისა და აღზრდის კომპანესაციის თანხისაგან.

შენიშვნა 20. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება შედგება ფეხბურთელების ანაზღაურებისგან.

შენიშვნა 21. ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები

ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები შედგება ფეხბურთელების საშემოსავლო გადასახადისა და სპენსიო შენატანისგან.

შენიშვნა 22. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს ფეხბურთელების გარდა ჯგუფის სხვა თანამშრომლების ანაზღაურებას.

შენიშვნა 23. სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები

სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები შედგება ფეხბურთელების გარდა ჯგუფის სხვა თანამშრომლების საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანისგან.

შენიშვნა 24. მატჩის დღის ხარჯები

მატჩის დღის ხარჯები ძირითადად მოიცავს: სასტუმროს მომსახურების ხარჯებს, კვების ხარჯებს, მივლინების ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ხარჯებს და დაცვის ხარჯებს.

შენიშვნა 25. უძრავი ქონების და სათავსოების ხარჯები

უძრავი ქონების და სათავსოების ხარჯები ძირითადად მოიცავს მოედნის იჯარის თანხას.

შენიშვნა 26. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი ძირითადად მოიცავს ეკიპირების ხარჯებს, ფედერაციის საწევროს ხარჯებს, კომუნალურ გადასახადებს და სხვა სამეურნეო ხარჯებს.

შენიშვნა 27. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

2025 წლის 31 აგვისტოს ფინანსური შემოსავალი წარმოადგენს ჯგუფის საბანკო ანგარიშებზე გამომუშავებულ საპროცენტო სარგებელს (2024 წლის 31 აგვისტოს 35,205 ლარი, 2024 წლის 31 დეკემბერს 35,215 ლარი).

2025 წლის 31 აგვისტოს ფინანსური ხარჯი 3,330 ლარია, რაც მიღებულ სესხზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს წარმოადგენს. (2024 წლის 31 აგვისტოს 9,416 ლარი, 2024 წლის 31 დეკემბერს 3,331 ლარი).

შენიშვნა 28. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

• **სასამართლო დავები**

2025 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის ჯგუფი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

შენიშვნა 29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი:

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის ტიპი	31-აგვ-2024	31-აგვ-2024	31-დეკ-2024
ლევან სილაგაძე	ხელფასის ხარჯი	22,500	22,758	32,758
არჩილ შაკიაშვილი	ხელფასის ხარჯი	21,195	13,365	23,617
შპს ბოლნისის მუნიც. ტრანსპ. სამსახური	ტრანსპორტ. ხარჯი	42,104	36,655	63,373
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	შემოსავალი	619,478	303,415	656,651

შენიშვნა 30. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისაგან ჯგუფმა 2025 წლის 11 სექტემბერს, 13 ოქტომბერს და 16 ოქტომბერს მიიღო დაფინანსება ჯამში 93,900 ლარის ოდენობით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტისაგან ჯგუფმა 2025 წლის 5 სექტემბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით მიიღო დაფინანსება ჯამში 108,656 ლარის ოდენობით.

ძირითადი სპონსორისგან ჯგუფმა 2025 წლის 19 სექტემბერს მიიღო დაფინანსება 130,000 ლარის ოდენობით ხოლო 17 ოქტომბერს 70,000 ლარის ოდენობით.

2025 წლის 17 სექტემბერს ჯგუფმა დაფარა სს საქართველოს ბანკისაგან მიღებული სესხის ნაწილი 14,052 ლარის ოდენობით.

ზემოთხსენებულის გარდა, ბალანსის თარიღის შემდგომ არ ყოფილა სხვა ისეთი მოვლენა, რომელზეც გავამახვილებდით თქვენს ყურადღებას.

შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიგენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი
[31 აგვისტო / ეროვნული ლიგენზირება]



ლიგენზირების მატეხელი:

საფეხბურთო კლუბი "სიონი"

მიზანიარე წელი

31.08.T

ანგარიშების წელი

31.08.T-1

ანგარიშების წელი

31.12.T-1 (აუდიტორი)

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი	31.08.2025	31.08.2024	31.12.2024	კომენტარი
ხარჯები				
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში	513,471.00	284,917.00	519,324.00	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)	3,995.00			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)	16,500.00	11,106.00	14,325.00	
საყოფაღებრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი, სასტუმროები და სხვ.)				
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)	13,952.00	8,567.00	14,187.00	
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი	3,600.00	800.00	9,600.00	
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)	64,070.00	33,224.00	87,153.00	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები				
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი	35,925.00	13,341.00	38,559.00	
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)	150.00	561.00		
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	26,750.00	25,500.00	25,500.00	
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ობერატორი და სხვ.)	2,057.00	1,266.00	3,757.00	
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	680,470.00	379,282.00	712,405.00	
შემოსავლები				
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.)			23,000.00	
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	199,184.00			
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის				
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	621,478.00	303,415.00	656,651.00	
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!				
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	820,662.00	303,415.00	679,651.00	
წმინდა შედეგი	140,192.00	(75,867.00)	(32,754.00)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მადიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: ლევან სილაგაძე

თარიღი: 22.10.2025

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: შპს შოთრ ვიზისი

უფლებამოსილი წარმომადგენელი: სოფიო აბაიძე

თარიღი: 22.10.2025



შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

- დოკუმენტის დასასრული -